დანართი №4

# ეროვნული ცენტრი

## უმაღლეს საგანმანათლებლო პროგრამასთან დაკავშირებით საგანმანათლებლო პროგრამების აკრედიტაციის საბჭოს რეკომენდაციების შესრულების თაობაზე უმაღლესი საგანმანათლებლო დაწესებულების მიერ წარმოდგენილი ანგარიშის შესახებ დასკვნა

საბანკო და საფინანსო ტექნოლოგიები

საბაკალავრო საგანმანათლებლო პროგრამა

სსიპ - საქართველოს ტექნიკური უნივერსიტეტი

6.05.2026

## დასკვნის მომზადების მიზანი

უმაღლესი საგანმანათლებლო პროგრამის აკრედიტაციის სტანდარტებთან შესაბამისობის უზრუნველყოფისთვის, საგანმანათლებლო პროგრამების აკრედიტაციის საბჭოს გადაწყვეტილებით გათვალისწინებული რეკომენდაციების ან/და რჩევების საგანმანათლებლო დაწესებულების მიერ შესრულების შეფასება.

## ანგარიშისშეფასებისპრინციპები

წარმოდგენილი ანგარიში უნდა შეფასდეს შემდეგი პრინციპების დაცვით

- ანგარიშის შევსების სისწორისა და თანდართული დოკუმენტაციის შესაბამისობის შეფასება
- აკრედიტაციის პროცესის შედეგად აკრედიტაციის ექსპერტთა ჯგუფის დასკვნაში ასახული რეკომენდაცი(ებ)ის ან/და რჩევ(ებ)ის შესწავლა
- საგანმანათლებლო პროგრამების აკრედიტაციის საბჭოს მიერ გადაწყვეტილების მიღებისას გამოკვეთილი და შესრულებული რეკომენდაცი(ებ)ის ან/და რჩევ(ებ)ის შესწავლა
- საგანმანათლებლო დაწესებულების მიერ რეკომენდაცი(ებ)ის ან/და რჩევ(ებ)ის შესრულებისთვის შერჩეულიმეთოდების/მიდგომებისა და შედეგების შეფასება
- რეკომენდაცი(ებ)ისა ან/და რჩევ(ებ)ის შესრულების დამადასტურებელი მტკიცებულებების შეფასება
- ანგარიშის შესწავლის შედეგების ფორმირება

## ექსპერტი

**სახელი: ეკა**

**გვარი:ლეკაშვილი**

## ინფორმაცია უმაღლესი საგანმანათლებლო დაწესებულების შესახებ

| | |
|---|---|
| დაწესებულების სახელწოდება ორგანიზაციულ-სამართლებრივი ფორმის მითითებით | საქართველოს ტექნიკური უნივერსიტეტი<br>სსიპ |
| დაწესებულების სახე | უნივერსიტეტი |
| დაწესებულების საიდენტიფიკაციო კოდი | 211349192 |

## ინფორმაცია საგანმანათლებლო პროგრამის შესახებ

| | | |
|---|---|---|
| 1 | საგანმანათლებლო პროგრამის დასახელება[1] | საბანკო და საფინანსო ტექნოლოგიები |
| 2 | უმაღლესი განათლების საფეხური | ბაკალავრიატი |
| 3 | კვალიფიკაციის დონე[2] | VI დონე |
| 4 | კვალიფიკაციის დასახელება | ბიზნესის ადმინისტრირების ბაკალავრი ფინანსებში |
| 5 | ზოგადი განათლების შესაბამისი საფეხურის საგნის/საგნების/საგნობრივი ჯგუფის სწავლების უფლების მითითებით[3] | - |
| 6 | დეტალური სფეროს დასახელება და კოდი (ISCED – F – 2013)[4] | 0412 ფინანსები, საბანკო საქმე და დაზღვევა |
| 7 | სწავლების ენა | ქართული |
| 8 | ECTS კრედიტების რაოდენობა | 180 კრედიტი |
| 9 | განხორციელების ადგილი[5] | საქართველო, 0160, თბილისი, მ. კოსტავას ქ. № 77 |
| 10 | საგანმანათლებლო პროგრამის სტატუსი-აკრედიტაცია შესაბამისი საბჭოს ბოლო გადაწყვეტილების თარიღი და ნომერი | აკრედიტებული, საგანმანათლებლო პროგრამების აკრედიტაციის საბჭოს 2025 წლის 28 თებერვლის №461696 გადაწყვეტილება |
| 11 | გადაწყვეტილების ძალაში შესვლის თარიღი | 20.02.2025 |
| 12 | საგანმანათლებლო პროგრამებისაკრედიტაციის საბჭოს მიერ გაცემული რეკომენდაციების შესრულების შესახებ ანგარიშის წარმოსადგენად განსაზღვრული ვადა, თარიღი | 20.02.2026 |
| 13 | აკრედიტაციის ვადის გასვლის თარიღი | 20.02.2032 |

[1]დასახელება შინაარსობრივად შეესაბამება დეტალურ სწავლის სფეროს

[2]ეროვნულიკვალიფიკაციებისჩარჩოსმიხედვით

[3]მასწავლებლისმომზადებისინტეგრირებულისაბაკალავრო-სამაგისტროსაგანმანათლებლოპროგრამისშემთხვევაში

[4]განათლების საერთაშორისო სტანდარტული კლასიფიკატორი ((ISCED – F – 2013)

[5]ქვეყანა, საფოსტო ინდექსი, ქალაქი/მუნიციპალიტეტი, ქუჩა, ქუჩის ნომერი

## საგანმანათლებლო პროგრამის აკრედიტაციის სტანდარტებთან შეფასება საგანმანათლებლო პროგრამების აკრედიტაციის საბჭოს გადაწყვეტილების მიხედვით

| სტანდარტები | შესაბამისობაშია მოთხოვნებთან | მეტწილად შესაბამისობაშია მოთხოვნებთან | ნაწილობრივ შესაბამისობაშია მოთხოვნებთან | არ არის შესაბამისობაში მოთხოვნებთან |
|---|---|---|---|---|
| 1. საგანმანათლებლო პროგრამის მიზანი, სწავლის შედეგები და მათთან პროგრამის შესაბამისობა | | X | | |
| 2. სწავლების მეთოდოლოგია და ორგანიზება, პროგრამის ათვისების შეფასების ადეკვატურობა | X | | | |
| 3. სტუდენტთა მიღწევები, მათთან ინდივიდუალური მუშაობა | X | | | |
| 4. სწავლების რესურსებით უზრუნველყოფა | X | | | |
| 5. სწავლების ხარისხის განვითარების შესაძლებლობები | X | | | |

## შესასრულებელი რეკომენდაცი(ებ)ი[6]

1. რეკომენდებულია, ყველა პროგრამაში, განსაკუთრებით საბაკალავრო პროგრამებში, ჩამოყალიბდეს უფრო ფორმალიზებული უკუკავშირის ციკლი, რომლის შეფასების შედეგები პირდაპირ გამოიწვევს პროგრამულ ცვლილებებს, რომლებიც მორგებული იქნება თითოეულ პროგრამის უნიკალურ საჭიროებებზე.
2. რეკომენდებულია, „სტრატეგიული მენეჯმენტი“ გადავიდეს სავალდებულო ბლოკში.

[6] საგანმანათლებლო პროგრამების აკრედიტაციის საბჭოს გადაწყვეტილებით განსაზღვრული რეკომენდაციების რაოდენობის გათვალისწინებით

3. რეკომენდებულია, გაიზარდოს სამეცნიერო/კვლევითი საქმიანობის გაძლიერებისთვის და ინტერნაციონალიზაციისთვის განსაზღვრული ბიუჯეტი.

## საგანმანათლებლო დაწესებულების მიერ წარმოდგენილი ანგარიშისა და რეკომენდაციების გათვალისწინების შესახებ ინფორმაცია[7]

საგანმანათლებლო პროგრამების აკრედიტაციის საბჭოს მიერ გაცემული რეკომენდაციების შესრულების შესახებ ანგარიშის წარმოდგენის ვადად საბჭოს 2025 წლის 28 თებერვლის №461696 გადაწყვეტილებით განისაზღრა 2026 წლის 20 თებერვალი. დაწესებულების მიერ ანგარიში წარმდოგენილია საბჭოს გადაწყვეტილებით განსაზღვრულ ვადაში, 2026 წლის 20 თებერვალს.

დაწესებულების მიერ ანგარიშში წარმოდგენილი ინფორმაციის შესაბამისად, რეკომენდაციების შესრულებისა და ანგარიშის მომზადების მიზნით ბიზნესტექნოლოგიების ფაკულტეტის დეკანის ბრძანებით შეიქმნა თვითშეფასების ჯგუფი. თვითშეფასების ჯგუფში ჩართული იყო შესაბამისი სფეროს წარმომადგენელი აკადემიური პერსონალი. რეკომენდაციების შესრულების პროცესის ორგანიზება უზრუნველყო საგანმანათლებლო პროგრამის ხელმძღვანელმა დაინტერესებული პირების ჩართულობითა და ფაკულტეტის ხარისხის უზრუნველყოფის სამსახურთან თანამშრომლობით.

საგანმანათლებლო პროგრამების აკრედიტაციის საბჭოს მიერ გაცემული იყო 3 რეკომენდაცია. **ყველა რეკომენდაცია შესრულებულია**

## რჩევ(ებ)ი[8]

1. სასურველია, კლასტერში წარმოდგენილ პროგრამებში შემუშავდეს სწავლის შედეგების მონიტორინგის უფრო თანმიმდევრული და სისტემური მიდგომა.
2. სასურველია, პროგრამებში შემუშავდეს სწავლის შედეგების მონაცემების შეგროვების და ანალიზის უფრო სტრუქტურირებული მიდგომა.

---

[7]საგანმანათლებლო დაწესებულების მიერ ანგარიშის წარმოდგენის თარიღი, საბჭოს გადაწყვეტილებით განსაზღვრული ანგარიშის წარმოდგენის ვადა, რეკომენდაციების ან/და რჩევების გათვალისწინების პროცესში ჩართული პირების, შერჩეული მეთოდების/მიდგომების აღწერა და საბოლოოდ მიღწეული შედეგები, საჭიროებისამებრ, დამატებით სხვა ინფორმაცია.

[8]საგანმანათლებლო პროგრამების აკრედიტაციის საბჭოს გადაწყვეტილებით განსაზღვრული რჩევების რაოდენობის გათვალისწინებით (რჩევების გათვალისწინება არ არის სავალდებულო).

3. სასურველია, უკუკავშირის სპეციფიკური მექანიზმები მორგებული იყოს თითოეული პროგრამის უნიკალურ საჭიროებებზე.

4. გასაუბრებების დროს გამოვლინდა, რომ სტუდენტებს ესაჭიროებათ მეტი პრაქტიკული აქტივობები. სასურველია, უნივერსიტეტმა უფრო გაამარავალფეროვნოს სწავლების და აქტივობების პრაქტიკული ნაწილი. მაგალითად, სასურველია, უნივერსიტეტმა სტუდენტებისთვის უზრუნველყოს მეტი სტაჟირება, მასტერკლასი, საჯარო ლექცია, დარგის სპეციალისტებთან შეხვედრები და ა.შ.

5. სასურველია, გაიზარდოს სტუდენტების საერთაშორისო პროექტებში და გაცვლით პროგრამებში ჩართულობა.

6. სასურველია, უნივერსიტეტმა და მისმა პერსონალმა გააუმჯობესოს სტუდენტებთან კომუნიკაცია და ჩართულობა, განსაკუთრებით ახალი პროგრამების შემუშავების პროცესში მათგან მეტი რეკომენდაციის და რჩევის მიღების მიზნით.

7. სასურველია, უნივერსიტეტმა მომავალში მაგისტრანტებს და დოქტორანტებს გაუწიოს მეტი მხარდაჭერა მათ კვლევით საქმიანობაში. შეთავაზებული უნდა იყოს კვლევების ინტერნაციონალიზაციის და ფინანსური მხარდაჭერის ეფექტური შესაძლებლობები.

8. ნაშრომების შესწავლისას გამოვლინდა აკადემიური წერის ნორმების დარღვევის რამდენიმე მაგალითი. სასურველია, ხელმძღვანელებმა აღნიშნული მიმართულებით უფრო ინტენსიურად იმუშაონ სტუდენტებთან და მისცენ რჩევები და რეკომენდაციები.

9. სასურველია უნივერსიტეტმა უზრუნველყოს როგორც აკადემიური, ისე დამხმარე პერსონალის აკადემიური განვითარება, რისთვისაც არ უნდა დაიშუროს არც ფინანსური და არც მატერიალურ-ტექნიკური რესურსები.

10. სასურველია, უნივერსიტეტმა უზრუნველყოს პროფესიული და დარგობრივი ინგლისური ენის შემსწავლელი კურსების შეთავაზება.

11. სასურველია, გაუმჯობესდეს არსებული საინფორმაციო და საკომუნიკაციო პლატფორმების ხარისხი და გაგრძელდეს საბიბლიოთეკო რესურსების გამდიდრება.

12. სასურველია, სამუშაო სივრცეების ხელმისაწვდომობის მუდმივი გაუმჯობესება, განსაკუთრებით ბაკალავრიატის სტუდენტებისთვის.

13. სასურველია, აკადემიურმა და მოწვეულმა პერსონალმა წარადგინოს ყოველწლიური ანგარიში თავიანთი სასწავლო, კვლევითი და სხვა აკადემიური საქმიანობის შესახებ. ყოველივე აღნიშნული, ხარისხის უზრუნველყოფის სამსახურის მიერ განხორციელებულ კვლევებთან ერთად, დაწესებულებას საშუალებას მისცემს უფრო ეფექტური გახადოს წახალისების მექანიზმები იმ პროფესორებისთვის და ლექტორებისთვის, რომლებიც მიმდინარე აკადემიურ წელს გამოირჩეოდნენ აქტიურობით, აქვეყნებდნენ სტატიებს რეცენზირებად ჟურნალებში, სტუდენტებისგან იღებდნენ უმაღლეს შეფასებებს და ა.შ.

14. სასურველია, ინტერნაციონალიზაციის გაძლიერების მიზნით, უნივერსიტეტის საერთაშორისო ურთიერთობების სამსახურმა გააგრძელოს აქტიური თანამშრომლობა აკადემიურ პერსონალთან და სტუდენტებთან. აღნიშნულის მიღწევა შესაძლებელია ისეთ აქტივობებში უწყვეტი ჩართულობით, როგორიცაა გაცვლითი პროგრამების კვლევა, საინფორმაციო კამპანიების ჩატარება და რეგულარული ინიციატივების ორგანიზება ყოველი აკადემიური წლისთვის.

15. სასურველია, სტუდენტების, ახალგაზრდა პროფესიონალების და მკვლევრების მოზიდვის და შენარჩუნების მიზნით ეფექტური მექანიზმების შემუშავება, კლასტერში წარმოდგენილი პროგრამების მდგრადობის და თანამედროვე მოთხოვნებთან შესაბამისობის უზრუნველსაყოფად.

16. სასურველია, გაძლიერდეს აკადემიური პერსონალის კვლევასთან, გამოქვეყნებებთან და აკადემიურ ღონისძიებებში მონაწილეობასთან დაკავშირებული ინტერნაციონალიზაციის აქტივობების მხარდაჭერა.

17. სასურველია, გასაუმჯობესებელი სფეროების გამოვლენის მიზნით უნივერსიტეტმა განახორციელოს საგანმანათლებლო პროგრამების ყოვლისმომცველი თვითშეფასება, ასევე გასაუმჯობესებელ სფეროებთან მიმართებით დაგეგმოს აქტივობები და განსაზღვროს ვადები.

18. სასურველია, საგანმანათლებლო პროგრამების პერიოდული მონიტორინგის ფარგლებში, პროგრამების და სასწავლო კურსების შინაარსის შეფასებისას, უნივერსიტეტმა გამოავლინოს და 10 აღმოფხვრას სწავლება / სწავლის მეთოდებში, შეფასების მეთოდებში, შეფასების რუბრიკებში, სამაგისტრო და საბაკალავრო ნაშრომების შემუშავების პროცესში და ა.შ. არსებული ხარვეზები.

19. სასურველია, პროგრამას დაემატოს საერთაშორისო ფინანსების, საზღვრებსშორისი ოპერაციების ან გლობალური საბანკო პრაქტიკის ელემენტები, რაც გააუმჯობესებს პროგრამის შესაბამისობას საერთაშორისო კონტექსტში.

20. სასურველია, ფინანსურ ტექნოლოგიებთან დაკავშირებული სიღრმისეული შეფასებების გათვალისწინებით საგანმანათლებლო პროგრამაში გაუმჯობესდეს შეფასების მექანიზმები. მიუხედავად იმისა, რომ ძირითადი კომპეტენციებისთვის კარგად არის განსაზღვრული არსებული შეფასებები, ისინი არასაკმარისად ასახავენ ფინანსური ტექნოლოგიების სწრაფად ცვალებად გარემოს.

21. სასურველია, აკადემიურმა პერსონალმა, განსაკუთრებით იმათმა ვინც ჩართულნი არიან საბაკალავრო პროგრამების განხორციელებაში, გაიარონ უწყვეტი ტრენინგი სწავლის შედეგების მონაცემების ეფექტურად შეგროვების, ანალიზის და გამოყენების შესახებ.

## საგანმანათლებლო დაწესებულების მიერ წარმოდგენილი ანგარიშისა და რჩევების გათვალისწინების შესახებ ინფორმაცია[9]

რჩევების არასავალდებულო ხასიათის გათვალისწინებით ინფორმაცია დაწესებულების მიერ არ არის წარმოდგენილი.

## დამატებითი ინფორმაცია[10]

-

## რეკომენდაცი(ებ)ის ან/და რჩევ(ებ)ისგათვალისწინების შესახებ[11]

| | |
|---|---|
| სტანდარტის დასახელება[12] | სტანდარტი 1. საგანმანათლებლო პროგრამის მიზნები, სწავლის შედეგები და მათი შესაბამისობა პროგრამასთან |
| კომპონენტის დასახელება[13] | 1.3 პროგრამის სწავლის შედეგების შეფასების მექანიზმი |
| რეკომენდაცია I[14] | რეკომენდებულია, ყველა პროგრამაში, განსაკუთრებით საბაკალავრო პროგრამებში, ჩამოყალიბდეს უფრო ფორმალიზებული უკუკავშირის ციკლი, რომლის შეფასების შედეგები პირდაპირ გამოიწვევს პროგრამულ ცვლილებებს, რომლებიც მორგებული იქნება თითოეულ პროგრამის უნიკალურ საჭიროებებზე. |
| შეფასება | მიღებული რეკომენდაციის საპასუხოდ უნივერსიტეტი აღწერს რამდენიმე მიმართულებით განხორციელებულ აქტივობას, კერძოდ, დაინტერესებული მხარეების, დამსაქმებლებისა და კურსდამთავრებულების გამოკითხვის მიზნით კითხვარის შემუშავებას. დაწესებულების მიერ მტკიცებულების სახით წარმოდგენილია აღნიშნული კითხვარები. კითხვარი დამსაქმებლების შემთხვევაში იძლევა საშუალებას შეფასდეს საქართველოს ტექნიკური უნივერსიტეტის იმ კურსდამთავრებულების ცოდნა და უნარები, ვინც დასაქმებულია რესპონდენტ დამსაქმებელთან და, შესაბამისად, აქვს მისი ცოდნისა და უნარების შეფასების შესაძლებლობა. კურსდამთავრებულების შემთხვევაში კი კითხვარი იძლევა საკუთარი ცოდნისა და უნარების თვითშეფასების საშუალებას. კითხვარები აგებულია იმგვარად, რომ გამოკითხვის შედეგად მიღებული ინფორმაცია შესაძლებელს გახდის შეფასდეს პროგრამის |

| | |
|---|---|
| | ფარგლებში გამომუშავებული ცოდნა და უნარები და შესაბამისად, შეფასდეს პროგრამა არაპირდაპირი გზით.<br><br>წინა წარმოების დასკვნის მიხედვით, აკრედიტაციის ექსპერტებმა აღნიშნულ კომპონენტში წარმოადგინეს შემდეგი შეფასება:<br>,,სწავლის შედეგების შეფასების მექანიზმების განსაზღვრა:<br>○ **ძლიერი მხარეები:** კლასტერში დაჯგუფებული პროგრამები მოიცავენ სწავლის შედეგების შეფასების მკაფიოდ განსაზღვრულ მექანიზმებს. აღნიშნული მექანიზმები დეტალურად არის აღწერილი პროგრამასთან დაკავშირებულ დოკუმენტებში და თვითშეფასების ანგარიშებში, მათ შორის კურსზე დაფუძნებულ შეფასებებს, კვლევითი კომპონენტების და დაინტერესებული მხარეების უკუკავშირს.<br>○ **სუსტი მხარეები:** მიუხედავად იმისა, რომ მექანიზმები დოკუმენტირებულია, პროგრამებში ერთგვაროვნად არ არის გამოყენებული მონაცემთა შეგროვების თანმიმდევრულობა და სიღრმე, განსაკუთრებით სწავლის შედეგების გრძელვადიანი მონიტორინგი.“ |

[9]საგანმანათლებლო დაწესებულების მიერ ანგარიშის წარმოდგენის თარიღი, საბჭოს გადაწყვეტილებით განსაზღვრული ანგარიშის წარმოდგენის ვადა, რეკომენდაციების ან/და რჩევების გათვალისწინების პროცესში ჩართული პირების, შერჩეული მეთოდების/მიდგომების აღწერა და საბოლოოდ მიღწეული შედეგები, საჭიროებისამებრ, დამატებით სხვა ინფორმაცია.

[10]საგანმანათლებლო დაწესებულების გადაწყვეტილებით, საჭიროების შემთხვევაში

[11]საგანმანათლებლო პროგრამების აკრედიტაციის საბჭოს გადაწყვეტილებით განსაზღვრული რეკომენდაციების ან/და რჩევების რაოდენობის გათვალისწინებით

[12]სტანდარტის დასახელება ნუმერაციის მითითებით

[13]კომპონენტის დასახელება ნუმერაციის მითითებით

[14]საგანმანათლებლო პროგრამების აკრედიტაციის საბჭოს გადაწყვეტილებიდან ამონაწერი (რეკომენდაცია გადმოიტანეთ უცვლელად)

| | |
|---|---|
| | რადგან ექსპერტთა ინფორმაციით **სწავლის შედეგების შეფასების მკაფიოდ განსაზღვრული მექანიზმები არსებობს უნივერსიტეტში პროგრამასთან მიმართებაში,** ამ ეტაპზე შეფასებისას აქცენტი გაკეთდა სუსტი მხარის გაუმჯობესებაზე. კერძოდ,<br>ინსტიტუციამ წარმოადგინა კვლეევასა და მონაცემთა ანალიზზე დაფუძვნებული ხარისხის უზრუნველყოფის ჩარჩო - წლიური სამუშაო ციკლი, რომელშიც წარმოდგენილია: ყოველწლიური გეგმისა და ინსტრუმენტების მიმოხილვა-განხილვა; სტუდენტთა სემესტრული გამოკითხვა; კვლევითი კომპონენტების კმაყფილების შეფასება, სემესტრული გამოკითხვა; ადმინისტრაციული და დამხამრე პერსონალის კმაყფილების კვლევა; აკადემიური და მოწვეული პერსონალის კმაყოფილების კვლევა; კურსდამთავრებულთა კვლევა; დამსაქმებელთა კვლევა; სტუდენტთა აკადემიური მოსწრების ანალიზი; სტრუქტურირებული SWOT ანალიზი, საფაკულტეტო კომისიების ანგარიში. ციკლი მოიცავს დაწყების და დასრულების გრაფიკებს ამოცანების მიხედვით; უკუკავშირის დოკუმენტის მომზადება და დამტკიცება.<br>აღნიშნული ციკლის საფუძველზე თავმოყრილი მონაცემების დამუშავება, რომელიც ყველა დაინტერესებული მხარის ჩართულობას, შეფასების პიირდაპირ და არაპირდაპირ მექანიზმს მოიცავს, გვიჩვენებს, რომ ინსტიტუციამ შეიმუშავა სისტემური მიდგომა აღნიშნული სუსტი მხარის დაძლევასთან დაკავშიირებით.<br>ამასთან, **ინსტიტუციიდან გამოთხოვილი იქნა დოკუმენტი, რომელშიც იქნებოდა წარმოდგენილი პროგრამის სწავლის შედეგების სამიზნე ინდიკატორების და სამიზნე ნიშნულებიდან გადახრის სიდიდის შესახებ, რა შემთხვევაშიც დღის წესრიგში დგება პროგრამის გადახედვის/გადამუშავების საკითხი.**<br>ინსტიტუციამ წარმოადგინა ბაკალავრიატის საგანმანათლებლო პროგრამის „საბანკო და საფინანსო ტექნოლოგიები“ სწავლის შედეგების მონიტორინგის მექანიზმი და სამიზნე ნიშნულებიდან გადახრის |

| | |
|---|---|
| | ანალიზის ანგარიში, რომელშიც დეტალურად არის წარმოდგენილი შესაფასებლად წარმოდგენილი პროგრამის შედეგებისთვის განსაზღვრული სამიზნე ნიშნულები და მათგან გადახრის სიდიდეები, რა შემთხვევაშიც მოხდება სწავლის შედეგების გადახედვა. მაჩვენებლად განისაზღვრა 20% და მეტი. ამასთან, რიგ საასწავლო კურსებში განხორციელდა შედეგების მიღწევის შეფასება და დადგინდა, რომ შედეგების მიხედვით, ამ ეტაპზე პროგრამა არ საჭიროებს ძირეულ გადახედვას. კვლევა და დაკვირვება გაგრძელდება წლიური სამუშაო ციკლის მიხედვით.<br><br>დამატებით აღსანიშნავია დაწესებულების მიერ წარმოდგენილი ინფორმაცია, რომლის მიხედვითაც ბიზნესტექნოლოგიების ფაკულტეტზე გაიმართა ფინანსებისა და საბანკო საქმის დეპარტამენტის სხდომა, სადაც დეპარტამენტის წევრებთან ერთად ესწრებოდნენ დარგის მოწვეული სპეციალისტები და დამსაქმებლები. დაწესებულების ინფორმაციით შეხვედრაზე განისაზღვრა სწავლის შედეგების შეფასებისა და შესაბამისი უკუკავშირის ინსტრუმენტები პროგრამის განვითარების მიზნით, რომელიც აღწერილია კვლეევასა და მონაცემთა ანალიზზე დაფუძვნებული ხარისხის უზრუნველყოფის ჩარჩო - წლიური სამუშაო ციკლის დოკუმენტში.<br><br>**რეკომენდაცია შესრულდა.** |
| მტკიცებულებ(ები)ა | • თვითშეფასების ანგარიში;<br>• კვლევასადა მონაცემთა ანალიზზე დაფუძნებული ხარისხის უზრუნველყოფის წლიური სამუშაო ციკლი;<br>• კურსდამთავრებულთა კითხვარი;<br>• დამსაქმებელთა კითხვარი;<br>• ბაკალავრიატის საგანმანათლებლო პროგრამის „საბანკო და საფინანსო ტექნოლოგიები“ სწავლის შედეგების მონიტორინგის მექანიზმი და სამიზნე ნიშნულებიდან გადახრის ანალიზის ანგარიში. |

| | |
|---|---|
| სტანდარტის დასახელება | სტანდარტი 1. საგანმანათლებლო პროგრამის მიზნები, სწავლის შედეგები და მათი შესაბამისობა პროგრამასთან |
| კომპონენტის დასახელება | 1.4. საგანმანათლებლო პროგრამების სტრუქტურა და შინაარსი |

| | |
|---|---|
| რეკომენდაცია II | რეკომენდებულია, „სტრატეგიული მენეჯმენტი“ გადავიდეს სავალდებულო ბლოკში. |
| შეფასება | რეკომენდაციის საპასუხოდ, საგანმანათლებლო პროგრამას დაემატა სავალდებულო სასწავლო კურსი „სტრატეგიული მენეჯმენტის საფუძვლები“ თავისუფალი კომპონეტის კრედიტების ნაცვლად. სასწავლო კურსის მიზანია სტუდენტს შეასწავლოს სტრატეგიული ხედვის ჩამოყალიბება, დარგის და კონკურენტული სიტუაციის ანალიზი, კონკურენციის საბაზისო სტრატეგიები, კონკურენციის სტრატეგია გლობალიზაციის ეპოქაში, ბიზნეს-მოდელები და Internet ეკონომიკის სტრატეგიები, დივერსიფიცირებული კომპანიის სტრატეგია და კონკურენტული უპირატესობა. კურსს წინაპირობად განესაზღვრა ,,მენეჯმენტის საფუძვლები“. კურსი 5 ECTS კრედიტიანია. კურსის მიწოდება ხდება მეექვსე სემესტრში.<br>მტკიცებულებად წარმოდგენილია, როგორც პროგრამის სასწავლო გეგმა, ისე თავად სასწავლო კურსის სილაბუსი, ასევე, ფაკულტეტის საბჭოს სხდომის ოქმის ამონაწერი განხორციელებული ცვლილებების აღწერით, რაც ადასტურებს განხორციელებულ ცვლილებას.<br>**რეკომენდაცია შესრულდა.** |

[15]საგანმანათლებლო პროგრამების აკრედიტაციის საბჭოს გადაწყვეტილებიდან ამონაწერი (რჩევა გადმოიტანეთ უცვლელად)

| | |
|---|---|
| მტკიცებულებ(ები)ა | • თვითშეფასების ანგარიში;<br>• საბანკო და საფინანსო ტექნოლოგიების საბაკალავრო პროგრამა'<br>• ფაკულტეტის საბჭოს 2025 წლის 22 სექტემბრის სხდომის ოქმი №9 (ამონაწერი);<br>• სასწავლო კურსის „სტრატეგიული მენეჯმენტის საფუძვლები" სილაბუსი. |

| | |
|---|---|
| სტანდარტის დასახელება | სტანდარტი 4. სწავლების რესურსებით უზრუნველყოფა |
| კომპონენტის დასახელება | 4.5 პროგრამის/ფაკულტეტის/სკოლის ბიუჯეტი და პროგრამის ფინანსური მდგრადობა |
| რეკომენდაცია III | რეკომენდებულია, გაიზარდოს სამეცნიერო / კვლევითი საქმიანობის გაძლიერებისთვის და ინტერნაციონალიზაციისთვის განსაზღვრული ბიუჯეტი. |
| შეფასება | აღნიშნული რეკომენდაციის შესრულების მტკიცებულებად დაწესებულებამ წარმოადგნია 2026 წლის ბიუჯეტი; ასევე, 2024 წლისა და 2026 წლის ბიუჯეტებიდან გარკვეული მუხლების შედარების დოკუმენტი. ინსტიტუცია სამეცნიერო-კვლევითი საქმიანობის და ინტერნაციონალიზაციის მიმართულებით მოიაზრებს შემდეგ მუხლებს: შრომითი ხელშეკრულებით დასაქმებულ პირთა ანაზღაურება; მივლინება; ოფისის ხარჯები; ნორმატიული აქტების, საცნობარო და სპეციალური ლიტერატურის, ჟურნალ-გაზეთების შეძენა და ამავე მიზნებთან დაკავშირებული საგამომცემლო-სასტამბო (არაძირითადი საქმინობის) ხარჯები; სესიების, კონფერენციების, ყრილობების, სემინარების და სხვა სამუშაო შეხვედრების ორგანიზების ხარჯები და კადრების მომზადება. მაგალითად, ,,მივლინების" მუხლი, რომელიც 2024 წელს 7 000 ლარს შეადგენდა, ხოლო 2026 წლისთვის განსაზღვრულიაა 10 000 ლარით. „სესიების, კონფერენციების, ყრილობების, სემინარების და სხვა სამუშაო შეხვედრების ორგანიზების ხარჯების მუხლისთვის განკუთვნილი ხარჯების მოცულობა 2024 წლიდან 2026 წლამდე გაზრდილია სამჯერ, 5 000 ლარიდან 15 000 ლარამდე. მთლიანად |

| | |
|---|---|
| | ზემოთჩამოთვლილ მუხლებში 2024 წელს გამოყოფილი იყო 277 708 ლარი, ხოლო 2026 წლისთვის - 322 000 ლარია. ზრდა 44 292 ლარია, რაც ადასტურებს რეკომედაციით განსაზღვრული საკითხის გათვალისწინებას.<br>**რეკომენდაცია შესრულდა.** |
| მტკიცებულებ(ები)ა | • თვითშეფასების ანგარიში;<br>• სტუ-ს ბიზნესტექნოლოგიების ფაკულტეტის 2026 წლის ბიუჯეტი;<br>• სტუ-ს ბიზნესტექნოლოგიების ფაკულტეტის 2026 წლის ბიუჯეტის 2024-2026 წლების შედარების დოკუმენტი. |

თანდართული დოკუმენტაცია[16]

ექსპერტის ხელმოწერა

[16]თითოეული დოკუმენტის დასახელება და ფურცლების რაოდენობა